

საბანკო საქმის საფუძვლები I, II კურსი.
I-II სემესტრი. 2019-2020 წელი. (გიორგი ცაავა,ჭელიძე მედეა)
(დასკვნითი გამოცდის ნიმუში)

Question 1

რომელ ქალაქში და რომელ წელს შეიქმნა პირველი ბანკი მსოფლიოში?

Select one:

- a. ქ. იერუსალიმში 1409 წელს;
- b. ქ. გენუაში 1407 წელს;
- c. არცერთი პასუხი სწორი არ არის.
- d. ქ. პალერმოში 1408 წელს;

Question 2

სებ-ის მონეტარული ინსტრუმენტის – ერთდღიანი სესხების კომერციულ ბანკებზე გაცემისას მის უზრუნველსაყოფად არ შეიძლება გამოყენებული იქნეს:

Select one:

- a. ბანკების სასესხო აქტივები;
- b. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები;
- c. ბანკების საზედამხედველო კაპიტალი.
- d. საერთაშორისო საბანკო გარანტიები;

Question 3

საბანკო ლიცენზიის მისაღებად წარმოდგენილ შუამდგომლობას ჩამოთვლილთაგან რომელი დოკუმენტი არ უნდა ერთვოდეს?:

Select one:

- a. დამფუძნებელთა კრების ოქმი;
- b. ბანკის ნოტარიულად დამოწმებული საკრედიტო ხელშეკრულება;
- c. ბანკის რეგისტრაციის შესახებ სასამართლო დადგენილების ნოტარიულად დამოწმებული ასლი;
- d. ბანკის სტარტეგიული განვითარების გეგმა;

Question 4

ფულადი მულტიპლიკატორი ტოლია:

Select one:

- a. $(1+c)/(d+c)$;
- b. $1/(d+c)$;
- c. $(1-d)/(d+c)$.
- d. $1-(d+e)/(d+e+c)$;

Question 5

კრედიტის ფორმა, რომელიც მხოლოდ ფასიანი ქაღალდების გირაოს ქვეშ გაიცემა არის:

Select one:

- a. ოვერდრაფტი;
- b. კონტოკორენტული კრედიტი;
- c. ლომბარდული კრედიტი.
- d. საბლანკო კრედიტი;

Question 6

საერთო ღია სავალუტო პოზიცია არის:

Select one:

- a. პოზიცია, როდესაც ერთსა და იმავე სახეობის უცხოური და ეროვნული ვალუტით ბანკის აქტივები და ვალდებულებები ტოლია.
- b. პოზიცია, როდესაც ერთსა და იმავე სახეობის უცხოური ვალუტით ბანკის აქტივები ნაკლებია მის ვალდებულებებზე;
- c. ბანკის ყველა უცხოური ვალუტის მიხედვით გრძელი ღია სავალუტო პოზიციების ჯამსა და მოკლე ღია სავალუტო პოზიციების ჯამს შორის უდიდესი;
- d. პოზიცია, როდესაც სხვადასხვა სახეობის უცხოური ვალუტით ბანკის აქტივები ნაკლებია მის ვალდებულებებზე;

Question 7

ფაქტორინგის დროს:

Select one:

- a. 2-3 დღის განმავლობაში ხორციელდება მოთხოვნათა 90%-მდე საფასურის გადახდა ავანსის სახით, ხოლო დარჩენილ 10%-ს კლიენტი იღებს გადამხდელისაგან თანხის შემოსვლის შემდეგ.
- b. 1-2 დღის განმავლობაში ხორციელდება მოთხოვნათა 70%-მდე საფასურის გადახდა ავანსის სახით, ხოლო დარჩენილ 30%-ს კლიენტი იღებს გადამხდელისაგან თანხის შემოსვლის შემდეგ;
- c. 3-4 დღის განმავლობაში ხორციელდება მოთხოვნათა 80%-მდე საფასურის გადახდა ავანსის სახით, ხოლო დარჩენილ 20%-ს კლიენტი იღებს გადამხდელისაგან თანხის შემოსვლის შემდეგ;
- d. 4-5 დღის განმავლობაში ხორციელდება მოთხოვნათა 90%-მდე საფასურის გადახდა ავანსის სახით, ხოლო დარჩენილ 10%-ს კლიენტი იღებს გადამხდელისაგან თანხის შემოსვლის შემდეგ;

Question 8

თუ კომერციული ბანკის საზედამხედველო კაპიტალის მოცულობა შეადგენს 800 მლნ ლარს, მაშინ მის მიერ ერთი პირისათვის გაცემული სესხებისა და სხვა ვალდებულებების საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს:

Select one:

- a. 90 მლნ ლარს;
- b. 120 მლნ ლარს;
- c. 180 მლნ ლარს.

- d. 140 მლნ ლარს;

Question 9

უნაღდო ანგარიშსწორების პრინციპებია:

Select one:

- a. არცერთი პასუხი სწორი არ არის.
- b. გადახდის ვადიანობის და გადახდის უზრუნველყოფის პრინციპები;
- c. ვადაგადაცილების პრინციპი;
- d. საგადახდო ბრუნვის პრინციპები;

Question 10

ბანკებს არ შეუძლიათ გახსნან შემდეგი სახის აკრედიტივები:

Select one:

- a. არცერთი პასუხი სწორი არ არის.
- b. დაფარული და არადაფარული;
- c. გამოთხოვითი და გამოუთხოვარი;
- d. ფასის მომტანი და ზარალიანი;

Question 11

ისეთ შემთხვევაში, როდესაც სესხის ძირითადი თანხის ნაშთის გადაუხდელი ნაწილი გირაოს ან იპოთეკის საბაზრო ღირებულების ტოლია, კლასიფიკაცია შეიძლება იყოს:

Select one:

- a. „საეჭვო“;
- b. „სტანდარტული“.
- c. „არასტანდარტული“;
- d. „უიმედო“;

Question 12

პირველადი კაპიტალის დაქვითვა არ შედგება შემდეგი კომპონენტისაგან:

Select one:

- a. ბანკის საწესდებო კაპიტალში ასახული ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვიდან გადატანილი თანხა;
- b. ჩვეულებრივი აქციები გამოსყიდულის გამოკლებით;
- c. არცერთი პასუხი სწორი არ არის.
- d. არამატერიალური აქტივები;

Question 13

ლიკვიდურობის პირველად რეზერვს არ მიეკუთვნება:

Select one:

- a. სამთავრობო ფასიანი ქაღალდები;
- b. სავალდებულო რეზერვების ანგარიშებზე სახსრები;
- c. საგადასახადო საბუთები ინკასირების პროცესში.
- d. ნაღდი ფული სალაროში და სეიფში;

Question 14

ლიკვიდატორს შეუძლია შეწყვიტოს კონტრაქტები მომსახურების შესახებ, რომლის განხორციელებაშიც ბანკი მონაწილეობდა:

Select one:

- a. დანიშვნის დღიდან ერთი წლის განმავლობაში;
- b. დანიშვნის დღიდან სამი თვის განმავლობაში.
- c. დანიშვნის დღიდან ერთი თვის განმავლობაში;
- d. დანიშვნის დღიდან ექვსი თვის განმავლობაში;